უფასოდ

სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

F-171
1940

კრებული

აგვისტო 1940 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 3170—სასწავლო წლის დაწყების წინ რაიონული თათბირების ჩატარების შესახებ 2
2. ბრძანება № 3169—1940/41 სასწ. წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ . 4
3. ბრძანება № 3351—წვევამდელთა შორის წ/კ უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ . 7
. ბრძანება № 2825—პოლიტსაგანმათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ 8
5. ბრძანება № 2667—სკოლების კაბინეტებითა და ბიბლიოთეკებით მომარაგების შესახებ . 15
6. დებულება პედსასწავლებლის დაუსწრებელი განყოფილებისა 14
7. ცირკულარულად 17

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3170

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წ. 20 ივლისი

სასწავლო წლის დაწყების წინ რაიონული თათბირების ჩატარების შესახებ.

სასწავლო წლის დაწყების წინ გასულ წლებში ჩატარებულმა მასწავლებელთა თათბირების გამოცდილებამ ნათელყო, რომ ამ თათბირებმა დიდი როლი შეასრულეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ამავე დროს ამ თათბირებს თან ახლდა მნიშვნელოვანი დეფექტები: მთელი რიგი რაიონული განათლების განყოფილებებისა დროულად და სერიოზულად არ ემზადებოდა თათბირებისათვის, თათბირი ნაჩქარევად და მოუმზადებლად ტარდებოდა, რის გამო მასწავლებელთა ყურადღება არ მახვილდებოდა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი საკითხების გარშემო, მასწავლებლებს არ ეძლეოდა შესაფერისი დახმარება სასწავლო წლის წარმატებით დაწყებისათვის, კონსულტაციები ხშირად ვიწრო და ფორმალურ ხასიათს ღებულობდა და სხვა.

მიმდინარე წელს მასწავლებელთა თათბირების ძირითად მიზანს წარმოადგენს მასწავლებლობის აქტიური ჩაბმა იმ ამოცანების განხილვის საქმეში, რომლებიც დააყენა საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ისტორიულმა ყრილობამ განათლების ორგანოების და სკოლების წინაშე. რაიონულმა თათბირებმა უნდა დარაზმოს მთელი მასწავლებლობა განსახკომის მიერ დასახულ სამუშაო გეგმების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ გეგმის ცენტრში დგას საერთო სახალხო ამოცანა—საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება; მოსწავლეთა წარმატების აღმავლობა, შეგნებული დისციპლინის დამყარება სკოლაში და მშრომელთა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ჩაბმა აღმზრდელობით მუშაობაში.

თათბირებმა სკოლების დირექტორებს, გამგეებს და მასწავლებლებს გასული სასწავლო წლის მუშაობის ღრმა ანალიზით, საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებით, შემდგომი მუშაობისათვის კონკრეტული ღონისძიებების დასახვითა და მაღალხარისხოვანი კონსულტაციის ორგანიზაციით უნდა გაუწიოს კონკრეტული დახმარება.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ჩაატარონ მასწავლებელთა აგვისტოს რაიონული თათბირები 26-დან 28 აგვისტომდე, 2-3 დღის ხანგრძლივობით.

2. სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა რაიონულ თათბირების პლენარულ სხდომებზე დაისვას შემდეგი საკითხები:

I. განათლების განყოფილების გაგის მოხსენება—„სკოლების ამოცანები 1940/41 სასწავლო წელს და შემდგომი ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებისა, აკადემიური წარმატების ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის დანერგვის უზრუნველსაყოფად“.

II. საუკეთესო სკოლის დირექტორის

(გამგის) და მასწავლებლის 1—2 თანამოხსენება შერჩევით შემდეგი საკითხებიდან:

ა) მოსწავლეთა წარმატების ამაღლების ღონისძიებანი;

ბ) შეგნებული დისციპლინის აღზრდა;

გ) პატრიოტიზმის აღზრდა;

დ) მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა;

ე) კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია;

ვ) მშობლებთან მუშაობა და სხვა.

3. პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ ჩატარდეს ცალკე კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციების მუშაობა შემდეგი წესრიგით:

ა) დაწყებითი კლასების (1—4 კლ.) ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, არითმეტიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა სექციებზე დამუშავდეს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასებათა კრიტერიუმის საკითხები;

ბ) დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სექციაზე მოსმენილ იქნას მოწინავე მასწავლებელთა მოხსენებანი კლასებში შემდგომი მუშაობის ამოცანებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მუშაობის აგეგმვის შესახებ;

გ) ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციებზე მოსმენილ იქნას მოწინავე მასწავლებელთა მოხსენებანი სასწავლო დისციპლინებში მუშაობის ამოცანებისა და მომავალ სასწავლო წლისათვის მუშაობის აგეგმვის შესახებ.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა თავიანთ მოხსენებაში გააშუქონ რაიონში სასკოლო ქსელისა და საყოველთაო - სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობა; სკოლების წლიური მუშაობის შედეგების საფუძველზე გაუკეთონ ანალიზი და მისცენ სათანადო შეფასება სკოლებში ჩატარებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისა, მოსწავლეთა განთესვის და მეორეწლიანობის ლიკვიდაციისა, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და მშობლებსა და მოსახლეობაში პედაგოგიური პროპაგანდის გატარების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მოხსენებაში გამოხატულება უნდა ჰპოვოს სკოლებში და რაიონში სოცშეჯიბრების გაშლის შედეგებმა.

5. დირექტორების, გამგეების და მასწავლებლების თანამოხსენებანი აგებულ იქნას სკოლებში 1939/40 წ. ჩატარებული მუშაობის გამოცდილებათა საფუძველზე, გამოყენებულ იქნას საუკეთესო სკოლის და მასწავლებლის ნამუშევრები, მეთოდური კონფერენციების მასალები, მეთოდური თათბირების ოქმები და სხვ.

6. მასწავლებელთა თათბირებზე განათლების განყოფილებების მოხსენებისა და თანამოხსენების განხილვის შედეგად, მიღებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი, 1940/41 სასწავლო წელში სწავლა-აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

7. მასწავლებელთა რაიონული თათბირების მომზადებულად ჩატარებისათვის განათლების განყოფილებათა გამგეებმა მოიწვიონ დირექტორების, გამგეების და მასწავლებელთა აქტივის თათბირი და განიხილონ თათბირის დღის წესრიგი, დაამტკიცონ თანამომხსენებლები და გაუწიონ მათ სათანადო კონსულტაცია თათბირებზე მომზადებულად გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

8. მასწავლებელთა თათბირებისათვის მზადების საკითხები განხილულ იქნას პედსაბჭოს სხდომაზე, რომ თანამომხსენებლად გამოყოფილ დირექტორებს, გამგეებს და მასწავლებლებს გაეწიოს სათანადო დახმარება შერჩეულ თემების დროულად მომზადების საქმეში.

9. რაიპედკაბინეტების გამგეებმა მომხსენებლად გამოყოფილ დირექტორებს, გამგეებს და მასწავლებლებს გაუწიონ დახმარება მოხსენებათა თემების შერჩევისა და ამ თემების დამუშავებისათვის სათანადო ლიტერატურის გამონახვის საქმეში.

10. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს:

ა) მასწავლებელთა თათბირებთან დაკავშირებით, მეთოდისტების მივლინებით, კონსულტაციების ჩატარება თანამომხსენებლებთან მათი თათბირებზე მომზადებულად გამოსასვლელად;

ბ) განათლების განყოფილებებმა რაიპედკაბინეტებთან ერთად უზრუნველჰყონ საუკეთესო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნას ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით საუკეთესო ნიმუშები, საუკეთესოდ შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, სკოლის საალმზრდელო გეგმები, გაკვეთილების გეგმები, მოსწავლეთა საუკეთესოდ შესრულებული წერითი ნამუშევრები, დღიურები, მეთოდური ბროშურები, წიგნები და სხვა.

11. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად დაამუშაოს და გამოუშვას მასწავლებელთა თათბირების ჩატარების ორგანიზაციის და ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენების შესახებ საინსტრუქციო მეთოდური სახითის წერილები.

12. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა გამოაქვეყნოს მასწავლებელთა თათბირებისათვის ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენების შესახებ მეთოდური წერილები.

13. მასწავლებელთა თათბირებზე ხელმძღვანელობის გასაწევად რაიონებში მივლინებულ იქნან განსახკომის ინსპექტორები.

14. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მასწავლებელთა თათბირის ანგარიშები განსახკომს წარმოუდგინონ 20/IX—მდე.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 13 ივლისის დადგენილება.

განათლების სახ. კომისარი
გ. კიკნაძე

ბრძანება № 3169

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 20 ივლისი.

1940/41 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სს რესპუბლიკის რაიონებში ივლისის თვეში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მთელი რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ლანჩხუთის, თიანეთის, ქ. თბილისის, ორჯონიკიძის, ლენინის, მახარაძის, ქუთაისის, ცხაკაიას, სამტრედიის და სხვ.) დროულად მოჰკიდეს ხელი ახალ სასწავლო წლისთვის მზადების საქმეს, რის შედეგად ამ რაიონებში ძირითადად შესრულებულია სტაბილური ხახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა, უზრუნველყოფილია სკოლების რემონტის ხარისხოვნად დამთავრება პირველი სექტემბრისათვის, სკოლების მომარაგება მერხებით, დაფებით, სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, სასკოლო ბიბლიოთეკებით, სათბობი მასალით, კლასების გეგმიანად დაკომპლექტება და სხვა.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, მთელ რიგ რაიონებში ახალ სასწავლო წლისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს:

ზოგმა განათლების განყოფილების გამგემ (ვანის, ცაგერის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის,

ბოგდანოვკის, კასპის, ასპინძის, გურჯაანის და სხვ.) ვერ უზრუნველჰყო ძველი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის შესრულება, ვანის რაიონში 15.509 ც. წიგნიდან შესყიდულია მხოლოდ 2075 ც. ბოგდანოვკის განათ. განყოფილებამ არ იცის, თუ რამდენი სახელმძღვანელოა შეძენილი და არავითარი ზომები არ მიუღია სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. ასპინძის რაიონში 3500 ც. წიგნიდან შესყიდულია 1300 ც. ახალქალაქში შესყიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 17%-თ, აღბულაღის რაიონში 2055 ც. წიგნიდან შესყიდულია 446 ც. ქ. თბილისში (მე-8 — 9 — 10 კლასების) სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის ძალზე მცირე პროცენტია შესრულებული და ა. შ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო შენობების რემონტის საქმე, რიგმა განათლების განყოფილებათა გამგეებმა (წალკის, ზემო-სვანეთის, მაიაკოვსკის, ადიგენისა, ახალციხის და სხვ.) ვერ მიიღეს საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ წინასწარი სამზადისის ჩატარება და შენობების რემონტის დაწყება, ასე მაგალითად, 5—ივლისისათვის მაიაკოვსკის რაიონის არც ერთ სკოლაში რემონტი არ იყო დაწყებული, რემონტი აგრეთვე არ დაწყებულა ადიგენის, ახალციხის, ზემოსვანეთის რაიონებში და სხვაგან. სკოლების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს ბოგდანოვკის, ჭიათურის, საჩხერის, ცაგერის, სიღნაღის, გურჯაანის და სხვა რაიონებში.

აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ჯეროვნად არ უზრუნვიათ ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების ათვისებისათვის. საჩხერის განათლების განყოფილებას კაპიტალური რემონტისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ 88.000 მანეთიდან რაიფინგანიდან მიღებული აქვს 9.000 მან. ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილებას 15.000 მანეთიდან ჯერ თანხა სრულიად არ მიუღია. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი გურჯაანის, ასპინძის, ახალქალაქის, ლიუქსემბურგის, ვანისა და სხვა რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიფინგანების მიერ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების თავის დროზე გადაურიცხველობის გამო ზოგ რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო ინვენტარის (მერხი, დაფა, სკამი და სხვა) დამზადება. ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის მაიაკოვსკის, ვანის, ზემოსვანეთის რაიონების სკოლებისათვის არც ერთი ახალი მერხი და დაფა არ არის დამზადებული. წითელ წყაროს რაიონში გეგმით გათვალისწინებულ 621 მერხიდან დამზადებულია 200 მერხი. ორჯონიკიძის რაიონში 487—ახალი მერხებიდან დამზადებულია 160, 58 დაფიდან არცერთი დაფა არ არის დამზადებული. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ზესტაფონის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში.

მთელი რიგი სკოლებისა მოუმარაგებელია სათბობი მასალით, სკოლის დირექტორებისა და განათლების განყოფილებების მხრით ხშირ შემთხვევაში უყურადღებოდ დატოვებულია შეშით და სხვა სათბობ მასალით სკოლების უზრუნველყოფის საქმე, ასე მაგალითად: საჩხერის, ჭიათურის, ბოგდანოვკის, ჩოხატაურის, ლაგოდეხის, ვანის და სხვა რაიონის არცერთ სკოლაში სათბობი მასალა არ მოიპოვება. განათლების განყოფილებები თავს იმით იმართლებენ, რომ მათ არ ურიცხავენ თანხას ფინგანები ამ მასალის შესაძენად და თავად არ ღებულობენ საჭირო ზომებს თანხების მიღებისა და შეშის დროულად დამზადების უზრუნველსაყოფად.

განსახკომის მიერ მიცემულ გაფრთხილებისა და მითითებების მიუხედავად, ზოგი განათლების განყოფილების გამგე უდარდელად ეკიდება სკოლების კაბინეტებითა და ბიბლიოთეკებით მომარაგების საქმეს. ასე მაგალითად, ვანის განათლების განყოფილებას სახელგამთან ხელშეკრულება ჯერაც არ გაუფორმებია. სახელგამთან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი განაცხადეს თელავისა და ზუგდიდის განათლების განყოფი-

ლებათა გამგეებმა, რაიონის სკოლების დიდ უმრავლესობას სახელგამში არა აქვთ წარმოდგენილი განაცხადი მათთვის საჭირო ხელსაწყოებზე, რაც აფერხებს სკოლებზე ამ ხელსაწყო-იარაღების დროულად გადაგზავნის საქმეს. ხელშეკრულების თანახმად მთელმა რიგმა რაიონებმა (ჭიათურა, ბორჯომი, ცხაკაია, ქვემო-სვანეთი და სხვა) ვერ უზრუნველჰყვეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების სახელგამზე გადარიცხვა.

გაზაფხულის არდადეგების პერიოდში სკოლის დირექტორებისა და განათლების განყოფილებათა გამგეების მიერ, ზოგ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლის მეურნეობის მოვლა-პატრონობის საქმეს. ასე მაგალითად, ადიგენის რაიონში ადგილზე არცერთ სკოლაში არ იმყოფება დირექტორი (გამგე) და სასწავლო ნაწილის გამგე, მოუვლელია სკოლების ეზოები, ინვენტარი დაზიანებულია და უპატრონოდ ჰყრია, სასკოლო ოთახებში უსუფთაობაა. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ახალციხის რაიონის, — აწყურის საშ. სკოლაში და კლდის არასრულ საშუალო სკოლაში, ალბულაღის, წალკისა და დუშეთის რაიონების ზოგიერთ სკოლებში და ა. შ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე **ვბრძანებ:**

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად შეამოწმონ ცალკე სკოლების შენობებისა და სასკოლო ინვენტარის რემონტის და ახალის დამზადების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენონ რაიაღმასკომის პრეზიდიუმს. რემონტის დროულად და ხარისხოვნად დამთავრებისა და სასკოლო ინვენტარის დამზადებისათვის საჭირო ზომების მისაღებად.

2. ჭიათურის, საჩხერის, ცაგერის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვ. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები რემონტისა და სასკოლო ინვენტარის შეძენისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების რაიფინგანიდან სკოლებზე დროულად გადასარიცხავად და გაუწიონ მეთვალყურეობა და კონტროლი თანხების დანიშნულებისამებრ ხარჯვის მიმდინარეობას. დამახინჯების შემთხვევაში დამნაშავენი გადასცენ სათანადო ორგანოებს პასუხისგებაში მისაცემად.

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და დირექტორებმა (გამგეებმა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების სათბობი მასალით უზრუნველყოფის საქმეს. ამ თავითვე ჩაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა პირველ სექტემბრისათვის არცერთი სკოლა არ დარჩეს სათბობი მასალით მოუმარაგებელი.

ეთხოვოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს დაუშვას დირექტივა პარტრაიკომებისადმი, რათა მათ მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლების სათბობი მასალით უზრუნველსაყოფად.

4. ხობის, ხაშურის, ზესტაფონის, ქვემო-სვანეთის, ზემო-სვანეთის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ცხაკაიას, ვანის, ჭიათურის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის, ბოგდანოვკის და სხვა რაიონების სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) 30 ივლისამდე გადმოგზავნონ განაცხადები მათთვის საჭირო ხელსაწყო იარაღებზე. სახელგამმა მის საფუძველზე უზრუნველჰყოს ამ ხელსაწყო-იარაღების დროულად შერჩევა და ადგილებამდე დაყვანა.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ კაბინეტებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების შესაძენად ხელშეკრულებით გათვალსწინებული თანხების სახელგამზე დროულად გადარიცხვა. საჭიროების შემთხვევაში საკითხი დასვან რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე ზომების მისაღებად.

6. ვანის, ზემო-სვანეთის, აბაშის, ბოგდანოვკის, კასპის, ასპინძის, გურჯაანის, ახალქალაქის და სხვ. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა მიიღონ საჭირო ზომები ძველი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად

და უზრუნველჰყონ შესყიდვის გეგმის მთლიანად შესრულება.

7. განათლების განყოფილებათა გამგეებმა ზაფხულის პერიოდში სისტემატურად შეამოწმონ სკოლების მეურნეობის მოვლა-პატრონობის მდგომარეობა, სასოფლო საბჭოებთან ერთად დასახონ ღონისძიებანი სასკოლო შენობის, ინვენტარის, კაბინეტების, სასკოლო ნაკვეთის, ნარგავების გაფუჭებისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად და პირველი სექტემბრისათვის სკოლის სრულ წესრიგში მოსაყვანად.

8. 30 ივლისამდე შემოწმდეს ქ. თბილისის რაიონებში ზაფხულის პერიოდში გამოცდამიცემულ მოსწავლეთა დახმარების ორგანიზაციის შესახებ განსახკომის ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოსმენილ იქნას განსახკომის კოლეგიის სხდომებზე.

9. განათლების განყოფილებათა გამგეებმა არ დაუშვან ზაფხულის პერიოდში სკოლების მეთვალყურეობის გარეშე დატოვება, სასკოლო ქონების დაცვის საქმეში საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით დასვან საკითხი სოფლსაბჭოებისა, მშობელთა კომიტეტებისა და კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციების წინაშე, რომ გამოჰყონ თვითეული სკოლის მორიგე-მეთვალყურე და მათ დააკისრონ სასკოლო ქონების დაცვის საქმეში პასუხისმგებლობა.

10. განსახკომში არსებული ინსპექტორების მიხედვით, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სამარცხვინო ჩამორჩენას აქვს ადგილი ზუგდიდის, საჩხერის, ცაგერის, ადიგენის, ახალციხის და თელავის რაიონებში, ამის გამო ამ რაიონებში მივლინებულ იქნან განსახკომის ინსპექტორები ჩამორჩენის მიზეზების გამოსარკვევად და ადგილებზე დახმარების გასაწევად. მათვე დაევალოს წარმოადგინონ კონკრეტული მასალები სასწავლო წლისათვის მზადების ჩამორჩენაში დამნაშავე პირთა შესახებ, კოლეგიის სხდომაზე განსახილველად და პასუხისგებაში მისაცემად.

11. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციამ გააშუქოს ცალკე რაიონების მასალების მიხედვით ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საკითხები.

12. დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და სასკოლო მშენებლობის სამმართველოებმა 20—აგვისტომდე შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენონ კოლეგიას.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 17 ივლისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

ბ. კიკნაძე

ბრძანება № 3251

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 23 ივლისი.

წვევამდელთა შორის წ/კ უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი რაიონის განათ. განყოფილების გამგეებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს წვევამდელების 100%-ით ჩაბმ.

სწავლებაში. აქედან ყვარლის რაიონში ჩაბმულია 7 მცირემცოდნე წვევამდელი, სიღნაღის რაიონში—20 და ა. შ.

ახალციხის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის და ბაშკიჩეთის რაიონების წვევამდელთა სკოლებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი—რუსული ენა არ ისწავლება—ასეთი მდგომარეობა კი ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებს გაწვევის საქმეს. ადგილი აქვს წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა გადასვლას რაიონიდან რაიონში და ასეთ შემთხვევაში განათლების განყოფილებები არ უკავშირდებიან იმ რაიონებს, სადაც მათი წვევამდელები გადადიან და არ ღებულობენ ზომებს მათ ჩასაბმელად სწავლებაში. ქ. თბილისის კიროვის, აღბულაღის, ბაშკიჩეთის და სხვა რაიონებში ადგილი აქვს გაკვეთილების ჩაშლას, მსმენელთა დაკლებადაგვიანებას და სხვა.

ვბრძანებ:

1. ახალციხის, ყვარლის, სიღნაღის, გორის, სამტრედიის, ყაზბეგის და ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების გამგეებმა სასწრაფო წესით ჩააბან სწავლებაში ის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელები, რომელნიც ჯერ კიდევ სწავლების გარეშე იმყოფებიან. ვაფრთხილებ აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს, საქალაქო და ყველა რაიონის განს. განყოფილებებს, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს წვევამდელთა სწავლების ჩაშლისათვის; წ/კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელები 100%-ით უნდა იქნან ჩაბმული სწავლებაში და მიღებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი მათი მეცადინეობაზე ნორმალურად დასწრებისათვის.

2. წვევამდელთა შორის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს წვევამდელთა სკოლებისათვის შედგენილი სპეციალური სასწავლო გეგმის და პროგრამის მიხედვით. აიკრძალოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნების გაუვლელად და პროგრამული მასალის ამოუწურავად კურსდამთავრებულთა გამოშვება.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რუსული ენის სწავლებას წვევამდელთა სკოლებში. რუსული ენის მასწავლებლად შერჩეულ იქნან მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

იმ წვევამდელთათვის, რომელთაც წვევამდელთა სკოლის სრული კურსი დაამთავრეს, ხოლო რუსული ენა არ უსწავლიათ, მოეწყოს რუსული ენის სწავლება არსებული სასწავლო გეგმის და პროგრამების მიხედვით.

4. განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველომ უზრუნველჰყოს რაიონების წვევამდელთა სკოლები სათანადო სახელმძღვანელოებით.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 20 ივლისის დადგენილება.

განათლების სახალხო კომისარი
ბ. კიკნაძე

ბრძანება № 2855

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 9 ივლისი.

პოლიტსაგანმანათლებლო დაწ. სებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

აღინიშნოს, რომ თელავის, ხობის, ონის, ლუქსემბურგის, მაიაკოვსკის, წალკის, სიღნაღის, საგარეჯოს, ყვარლის რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 8 თებერვლის დადგენილე-

ბის რეალიზაცია პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საკლუბო დაწესებულებებში სუსტად არის დაყენებული ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაცია, სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა აგროზოოტექნიკური და ანტირელიგიური პროპაგანდა, საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა და სხვ.

ზოგიერთ საკლუბო დაწესებულებასთან დღემდე კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საკლუბო საბჭოები, ზოგ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. საკლუბო დაწესებულებათა მუშაობაში საკმაოდ არ არის ჩაბმული კულტაქტივი, სოფლის ინტელიგენცია, მოწინავე კოლმეურნეები.

განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ და შესაფერის ორგანიზაციულ-მეთოდურ დახმარებას არ უწევენ საკლუბო დაწესებულებებს. ისინი არ იღებენ გადამჭრელ ზომებს საკლუბო დაწესებულებათა შესაფერისი ბინებით, სამეურნეო ინვენტარით, კულტინვენტარით, მოწყობილობით, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის, ბიუჯეტით განკუთვნილი სახსრების ათვისებისათვის.

ამასთან ერთად აღინიშნოს, რომ მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონშიაც და განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ საკმაოდ არ იბრძვიან იმისათვის, რომ სოფლის საკლუბო დაწესებულებები გადააქციონ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ნამდვილ ცენტრად.

ვბრძანებ:

1. დაევალოს განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებებს, ავტ. სს რესპუბლიკების განსახკომებს და ავტონ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილებას:

ა) გააძლიერონ კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა საკლუბო დაწესებულებებზე და სისტემატურად გაუწიონ მათ ორგანიზაციულ-მეთოდური დახმარება ყოველდღიურ მუშაობაში;

ბ) კვარტალში არა ნაკლებ ერთხელ შეამოწმონ რაიონის ყველა საკლუბო დაწესებულების მუშაობა და პერიოდულად მოისმინონ საკლუბო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ;

გ) ორი დეკადის განმავლობაში შეამოწმონ სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბების ქოხ-სამკითხველოების მუშაკთა შემადგენლობა, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მისი განმტკიცებისათვის;

დ) ერთი დეკადის ვადაში შესაფერის სამუშაოზე დანიშნონ ის ამხანაგები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საკლუბო მუშაკთა რესპუბლიკური კურსები და ამჟამად გამოყენებული არ არიან საკლუბო სამუშაოზე;

ე) ამ ღონისძიებათა გატარების შემდგომ წარმოადგინონ განსახკომში ზუსტი ცნობები საკლუბო მუშაკთა კადრების შემადგენლობის შესახებ, ხოლო შემდეგ, კვარტალში ერთხელ გზავნონ განსახკომში ცნობები ამ მუშაკთა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ;

ვ) უზრუნველჰყონ გამოუკლებლივ ყველა საკლუბო მუშაკის სისტემატურად დასწრება სემინარებსა და კონსულტაციებზე, მათთვის საჭირო პირობების შექმნა განაკვეთების მაღალხარისხოვნად დამუშავებისათვის (დამხმარე ლიტერატურით მომარაგება, მაღალხარისხოვანი კონსულტაციები, საკონტროლო დავალებათა სისტემატური შემოწმება და სხვ).

ზ) საუკეთესო საკლუბო დაწესებულებაზე გამოცხადებულ სოცშეჯიბრებაში ჩაებან გამოუკლებლივ ყველა საკლუბო დაწესებულება და მათი მუშაკები, პერიოდულად შეამოწმონ შეჯიბრების მსვლელობა და გაუწიონ ხელმძღვანელობა და დახმარება საკლუბო დაწესებულებებს შეჯიბრების პირობების შესრულების საქმეში;

თ) საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების თათბირზე უახლოეს დღეებშივე განიხილონ (სადაც ჯერ განხილული არ არის) ამხ. მ. ი. კალინინის წერილი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ და რაიაღმასკო-

მებთან და სასოფლო საბჭოებთან ერთად ამ წერილის შესაბამისად დასახონ და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი საკლუბო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ი) უზრუნველჰყონ თვითეულ საკლუბო დაწესებულებაში პოლიტიკური ინფორმაციის სისტემატურად ჩატარება, აგროზოოტექპროპაგანდის, სამხედრო-თავდაცვითი, ანტირელიგიური, ფიზკულტურული, მხატვრული თვითმოქმედების და ზოგადსაგანმანათლებლო წრეების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის სათანადო გაშლა, ცოდნის სხვადასხვა დარგიდან ლექციებისა და საუბრების სისტემატურად ჩატარება, კინო-სეანსების მოწყობა, მხატვრული თვითმოქმედების საღამოების გამართვა (საღამოწარმოდგენები, კონცერტები და სხვ.);

კ) აამოქმედონ საცნობო-საკონსულტაციო ბიუროები და ჩამოაყალიბონ ასეთები იქ, სადაც არ არსებობენ;

ლ) უზრუნველჰყონ დეკადაში ერთხელ საკლუბო კედლის გაზეთის, ხოლო 1-2 დღეში ერთხელ საველე გაზეთების გამოშვება;

მ) ერთი თვის ვადაში ჩაატარონ საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების გადასინჯვა, კატალოგიზაცია და ინვენტარიზაცია, ფონდების შევსება ახალი ლიტერატურით და უზრუნველჰყონ ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესება;

ნ) ერთი თვის ვადაში გადაახალისონ საკლუბო დაწესებულებათა საბჭოები და ჩამოაყალიბონ საბჭოები იქ, სადაც ასეთები არ არსებობენ;

ო) უზრუნველჰყონ საკლუბო დაწესებულებების აქტივისტთა რიგების შემდგომი ზრდა, კულტაქტივში სოფლის ინტელიგენციის (მასწავლებლების, ექიმების, აგრონომების და სხვ.) სტახანოველთა, კოლმეურნეთა, კომკავშირელთა ფართოდ ჩაბმა;

პ) კავშირგაბმულობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ საკლუბო დაწესებულებათა რადიოფიცირება და არსებულ რადიოდანადგართა წესრიგში მოყვანა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) მიწათმოქმედების, ჯანმრთელობისდაცვის, ფინანსთა, იუსტიციის და სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მოამარაგონ საკლუბო დაწესებულებათა საცნობო-საკონსულტაციო ბიუროები სათანადო ლიტერატურით საბჭოთა კანონდებლობის, საკოლმეურნეო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საკითხებზე;

ს) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ერთი თვის ვადაში ლიკვიდირებულ იქნას საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის დავალიანება, მიიღონ ზომები ასეთი დავალიანების მომავალში თავიდან აცდენისათვის და საკლუბო მუშაკთათვის ხელფასის მიუცემლობის ფაქტებზე დაუყოვნებლივ აცნობონ, როგორც განსახკომს, ისე ადგილობრივ პროკურორს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად;

ტ) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ საკლუბო დაწესებულებებს დროულად და უკლებლივ მიეცეს მათთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები და დაუყოვნებლივ აცნობონ განსახკომს საკლუბო დაწესებულებათა ნორმალური ფინანსირების დარღვევის ფაქტებზე;

უ) დასახონ და გაატარონ ღონისძიებანი პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან კულტსახსრების, აგრეთვე თვითდაბეგვრის სახსრების მოზიდვისათვის საკლუბო დაწესებულებებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად;

ფ) დასახონ და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარუდგინონ დასამტკიცებლად ღონისძიებანი საკლუბო დაწესებულებათა შენობების შეკეთებისა, კეთილმოწყობისა და მათი უზრუნველყოფისათვის ინვენტარით, კულტინვენტარითა და სხვა;

ქ) ერთი თვის ვადაში მოიყვანონ წესრიგში თვითეული საკლუბო დაწესებულების მეურნეობა, ინვენტარიცაზიის ჩატარე-

ბა, მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის მოწესრიგება განსახკომის მიერ დაგზავნილი საალრიცხვო წიგნებისა და ჟურნალების მიხედვით და სხვ.;

ღ) დააზუსტონ და განსახკომში წარმოადგინონ ცნობები საკლუბო დაწესებულებათათვის ჩამორთმეული შენობების და აგრეთვე იმ საკლუბო დაწესებულებათა შესახებ, რომლებშიაც სხვა ორგანიზაციებია ჩასახლებული.

2. განსახკომის კადრების სამმართველომ, საკლუბო სამმართველოსთან ერთად. ა/წ 1-ლ აგვისტომდე დაამთავროს განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებათა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილების პოლიტგანინსპექტორების, კულტურის სახლების დირექტორების, სარაიონო კლუბების გამგეებისა და სარაიონო სალექციო-საექსკურსიო ბიუროების გამგეების შემადგენლობის შემოწმება, დასახოს და გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი ამ კადრების შემადგენლობის განმტკიცებისათვის.

3. კადრების სამმართველომ ა/წ 25 ივლისამდე დაამთავროს პოლიტსაგანმანათლებლო დარგში ხელმძღვანელ სამუშაოზე 50 კაცის შერჩევა—განაწილება იმ პირთაგან, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტები და სამასწავლებლო ინსტიტუტები.

4. კადრების სამმართველომ, საკლუბო სამმართველოსთან ერთად, უზრუნველჰყოს თბილისის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ადგილებზე დროულად მივლინება, თანახმად განაწილებისა. განათლების განყოფილებებმა და ასსრ განსახკომებმა უზრუნველჰყონ აღნიშნული კადრებისათვის მუშაობის სათანადო პირობების შექმნა.

5. საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით რეორგანიზებულ იქნას საკლუბო მუშაკთა დაუსწრებელი სწავლების კომბინატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო სამმართველომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს საკლუბო მუშაკთა მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემის პროექტი.

6. მშრომელთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლაში, ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში დახმარების გაწევის მიზნით, განათლების განყოფილებებმა და ასსრ განსახკომებმა უზრუნველჰყონ ლენინ-სტალინის ოთახების ორგანიზება ყველა მსხვილ საკლუბო დაწესებულებასთან.

7. დაევალოს საკლუბო სამმართველოს და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მეთოდკაბინეტს მოამზადონ საკლუბო დაწესებულებები ლენინ-სტალინის ოთახების მოსაწყობად ფოტოდოკუმენტებით, რუკებითა და ამხსნელი ტექსტებით და გაუწიონ საკლუბო დაწესებულებებს შესაფერი კონსულტაცია ამ საკითხზე.

დაევალოს მათვე, ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალთან შეთანხმებით, გადაამუშაონ და მისცეს ადგილებს მეთოდწერილი ლენინ-სტალინის ოთახის ორგანიზაციის შესახებ.

8. ცენტრალურმა სალექციო-საექსკურსიო ბიურომ თბილისიდან მივლინებულ კვალიფიციურ ლექტორთა ძალებით მიმდინარე წელს ჩაატაროს სოფლად კოლმეურნეობებში 400 ლექცია ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, მათ შორის აგროზოოტექპროპაგანდის საკითხებზე 100 ლექცია, ამასთან ერთად გააძლიეროს ხელმძღვანელობა სარაიონო სალექციო-საექსკურსიო ბიუროების მუშაობაზე.

9. საკლუბო დაწესებულებებზე მეთოდური დახმარების მიზნით პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მეთოდ-კაბინეტმა მიმდინარე წლის განმავლობაში უზრუნველჰყოს:

ა) სამი სახელწოდების მეთოდური ბროშურის შედგენა, ორი სახელწოდების ბრო-

შური დამუშავება მოწინავე საკლუბო დაწესებულებათა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, აგრეთვე მეთოდური წერილების დამუშავება სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის შესახებ;

ბ) აგროტექპროპაგანდის წრეებისათვის 11—სახელწოდების და საგნობრივი წრეებისთვის 5 სახელწოდების პროგრამის დამუშავება;

10. დაევალოს სახკომის მოადგილეს ამხ. მ. ბურჭულაძეს:

ა) განსახკომის სახელით შეიტანოს წინადადება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილი კულტფონდების ხარჯვის საქმის გაუმჯობესების შესახებ;

ბ) დასვას ხელოვნების საქმეთა სამმართველოში და საქ. კინოფიკაციის ტრესტში საკითხი საკლუბო შენობების ექსპლოატაციის პირობების შესახებ ხელშეკრულების დადებისა და საკლუბო დაწესებულებათა მშენებლობის სახსრების კოოპერირების შესახებ..

11. განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველომ შეიმუშაოს მთავრობისათვის წარსადგენად პროექტი ღონისძიებებისა საკლუბო დაწესებულებათა ბიუჯეტიდან თვნილი სახსრების დროულად და მთლიანად ათვისების შესახებ.

12. ვინაიდან თელავის, ხობისა და ლუქსემბურგის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გამოიჩინეს საკლუბო დაწესებულებათადმი შეუფასებლობა, ვერ უზრუნველჰყვეს მიცემული დირექტივების შესრულება, რის შედეგადაც პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობის მუშაობა ჩაშლამდე მიიყვანეს, ამიტომ ა/წ 10 აგვისტომდე კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნას აღნიშნულ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების საკითხი.

13. საკლუბო სამმართველომ ა/წ 1—ნოემბრამდე შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება რესპუბლიკის ათ რაიონში და შედეგები მოსმენილ იქნას კოლეგიის სხდომაზე.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 2 ივლისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

ბ. კიკნაძე

„ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘ“
საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი
გ. კიკნაძე
1940 წ.

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲞᲔᲓᲐᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ.

I—ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

1. პედსასწავლებელთან არსებულ დაუსწრებელ განყოფილების ამოცანას შეადგენს წარმოებიდან მოუწყვეტლად უზრუნველჰყოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის პედაგოგიურ სასწავლებლის კურსის ფარგლებში სათანადო პედაგოგიური ცოდნის შეძენა.

2. პედსასწავლებლებთან დაუსწრებელი განყოფილება ყალიბდება ავტონომიურ რესპუბლიკების განსახკომებისა, ავტონომიურ ოლქის და რაიონების განგანყოფილების მოთხოვნით საქართველოს განათლების სახალხო კომისრის დამტკიცების შემდეგ.

3. დაუსწრებელი განყოფილება პედსასწავლებლის ორგანიული ნაწილია და მას ეს უკანასკნელი უწევს, როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრატიულ-სამეურნეო მომსახურეობას.

4. დაუსწრებელი განყოფილება სასწავლო მუშაობას აწარმოებს საქ. განსახკომის მიერ დაუსწრებელ განყოფილებისათვის დამტკიცებულ სასწავლო გეგმით და პროგრამებით.

5. პედსასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე მსმენელთა მიღება სწარმოებს წელიწადში ერთხელ, მიღების პირობებს იმუშავებს საქ. განათლების სახ. კომისარიატი.

6. დაუსწრებელთა გამოშვება, გადაყვანა უფროს კლასში, დატოვება მეორე წელს და გარიცხვა სწარმოებს პედსასწავლებლის დირექტორის მიერ სტაციონალურ პედსასწავლებლებისათვის დადგენილ წესების საფუძველზე.

7. დაუსწრებელ განყოფილების კურსდამთავრებული სარგებლობს პედაგოგიურ სასწავლებლის კურსდამთავრებულის უფლებებით და ეძლევა სათანადო ატესტატი დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მინიჭებით.

II. სასწავლო წლის ორგანიზაცია.

8. დაუსწრებელ განყოფილების მოსწავლეთა სწავლების ძირითად ფორმას წარმოადგენს დაუსწრებელთა დამოუკიდებელი მუშაობა დაუსწრებელ განყოფილების სასწავლო გეგმისა და პროგრამების საფუძველზე.

9. დაუსწრებელთა დამოუკიდებელი მუშაობის ხელმძღვანელობას პედსასწავლებელი უზრუნველყოფს მათთვის სასწ. გეგმების, პროგრამების, მეთოდ-მითითებების და სათანადო სახელმძღვანელოების მიწოდებით და ამასთან ერთად ატარებს შემდეგი სახის მუშაობას:

ა) ყველა დაუსწრებლისათვის ახლადმიღებისას 6-დღიან სესიებს;

ბ) სესიები წელიწადში იწვევა 2-ჯერ: საზამთრო სესია 12-დღიანი არდადეგების პერიოდთან შეთანხმებით და საგაზაფხულო სესია 25—30 დღიანი, ივნისი—ივლისში.

გ) დაუსწრებელთა საკონტროლო ნამუშევართა რეცენზიას;

დ) აწყობს დაუსწრებელთათვის კონსულტაციას (წერილობით, ზეპირად);

ე) სასწავლო საკონსულტაციო პუნქტში

იყენებს პედსასწავლებლის წიგნების ფონდს და მოძრავ ბიბლიოთეკას;

ვ) უწევს სისტემატურ კონტროლს დაუსწრებელთა განყოფილების სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებას;

ზ) სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებს და მასწავლებელთ უწევს ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

თ) სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში მიავლენს კვალიფიციურ მასწავლებელს;

ი) აწყობს დაუსწრებელ მოსწავლეთა გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებს;

კ) აჯამებს მუშაობას და დადგენილ ვადებში ანგარიშს უდგენს საქ. განსახკომს.

III. დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ხელმძღვანელობა

10. დაუსწრებელ განყოფილების მუშაობას ხელმძღვანელობს პედსასწავლებლის დირექტორი. დაუსწრებელი განყოფილების მუშაობა დაკავშირებულია პედსასწავლებლის მთლიან გეგმასთან და ხორციელდება მთელი პედკოლექტივის მონაწილეობით.

11. დაუსწრებელ სწავლების დარგში პედსასწავლებლის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა დაუსწრებელ განყოფილების მთელს მუშაობას;

ბ) მოაწყოს სასწავლო, მეთოდური მუშაობა;

გ) დაამტკიცოს შინაგანაწესი, სასწავლო-ცხრილი და გაუწიოს კონტროლი მის შესრულებას;

დ) მოაწესრიგოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელი, დაამტკიცოს მათი გეგმები და უზრუნველყოს მოსწავლეთა დახმარების ორგანიზაცია;

ე) ჩაატაროს სათანადო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა და მოაწყოს სოცშეჯიბრება ცალკეულ პუნქტებს შორის;

ვ) აწარმოოს დაუსწრებელთა მიღება, გადაყვანა და გამოშვება.

12. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ამოცანას შეადგენს: მოაწყოს დაუსწრებელთა მეცადინეობა სესიებამდე, უხელმძღვანელოს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და სასწავლო გეგმისა და პროგრამების ამოსაწურავად შექმნას სათანადო პირობები.

13. საკონსულტაციო პუნქტის მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს ჯგუფური სასწავლო-საკონსულტაციო მეცადინეობა, ინდივიდუალური კონსულტაცია და პრაქტიკული მეცადინეობა.

ჯგუფური მეცადინეობა და ინდივიდუალური კონსულტაცია საკონსულტაციო პუნქტში ტარდება პედსასწავლებლის ხელმძღვანელობით თვეში ერთხელ, საქ. განსახკომის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმის საფუძველზე.

14. საკონსულტაციო პუნქტის გამგეებს და მასწავლებლებს ამტკიცებს რაიგანგანყოფილების წარდგენით საქ. განსახკომი.

15. დაუსწრებელ სწავლებისათვის კრედიტის განმანაწილებელია პედსასწავლებლის დირექტორი.

16. დაუსწრებელი განყოფილების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს საქ. განსახკომის მიერ.

IV. განათლების ორგანოების მოვალეობანი

17. განათლების ორგანოების: ავტონომიურ რესპუბლიკების განსახკომების, ავტონომიურ ოლქის და რაიგანათლების განყოფილებათა მოვალეობას შეადგენს:

ა) დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელ მასწავლებელთა კონტინგენტის აღრიცხვა;

ბ) პედსასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებისათვის დახმარების აღმოჩენა, დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება, ან გამოსულნი არიან საშუალო სკოლის მე-8, 9, 10 კლასიდან და პედსასწავლებლის 1-ლ, მე-2 — და მე-3 კლასებიდან;

გ) დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის დამოუკიდებელ სასწავლო მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნა (ერთ ცვლაზე მუშაობა, კვირაში 4 თავისუფალი საღამოს გამოყოფა და სხვ.);

დ) სესიებზე და კონსულტაციებზე დაუსწრებელთა გადასაყვანი საშუალებებით უზრუნველყოფა;

ე) საზამთრო და საზაფხულო სესიებისათვის რკინისგზის ხარჯების თავის დროზე განაღდება;

ვ) სესიების და კონსულტაციების მოსაწყობად და მოსწავლეთათვის საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის სათანადო ბინების გამოყოფა;

ზ) დაუსწრებელთათვის სასწავლო სახელმძღვანელოების მომარაგების საქმეში სათანადო დახმარების გაწევა;

18. დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმისა და მათთან სასწავლო მუშაობის ჩატარებისა საქმეში განგანყოფილება და პედსასწავლებლები მუშაობენ შეთანხმებულად, რათა დაუსწრებლებს გაეწიოთ სათანადო დახმარება სასწავლო გეგმისა და პროგრამების წარმატებით შესრულების საქმეში.

დირექტორი ვალდებულია სესიის შედეგები აცნობოს განათლების განყოფილებას თვითეულ დაუსწრებელ-მასწავლებლის აკადემიური წარმატების თანდართვით.

ბრძანება № 2667

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წელი, 29 ივნისი

სკოლების კაბინეტებითა და სასკოლო ბიბლიოთეკებით მომარაგების შესახებ.

სკოლებში სასწავლო დისციპლინების (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება) სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, კაბინეტებით, ლაბორატორიებით და ბიბლიოთეკებით მომარაგების საქმეს. ამ მიზნით საქ. რესპუბლიკის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1940 წელში კაბინეტების შესაძენად 3.000.000 მანეთი, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის — 1.500.000 მან. მიმდინარე წელს დროულად გაიშალა მუშაობა სასკოლო კაბინეტებისა და ბიბლიოთეკების შესაძენად, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მთლიანად ასათვისებლად, რისთვისაც მთელმა რიგმა განათლების განყოფილებათა გამგეებმა (სამხ. ოსეთის ავტონომიური ოლქის, ადიგენის, ბაშკიჩეთის, მაიაკოვსკის, ბორჩალოს, ყარაიას, ჩხარის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, საჩხერეს, მცხეთის, ქარელის, წყალტუბოს და სხვა), დროულად გააფორმეს ხელშეკრულება სახელგამთან; დღემდე გაფორმებულია კაბინეტისათვის ხელშეკრულება 1.617.725 მანეთზე, სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის—1.165.300 მანეთზე, მაგრამ სკოლების კაბინეტებითა და სასკოლო ბიბლიოთეკებით მომარაგების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას. დღემდე გაუფორმებელია ხელშეკრულება, კაბინეტებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ 1.382,275 მანეთზე და ბიბლიოთეკებისათვის გათვალისწინებულ 834.700 მანეთზე.

საქ. სახელგამმა ზოგ რაიონში (ცხაკაია, ქუთაისი, აღბულაღი, თელავი და სხვ.). ვერ უზრუნველჰყო თავის წარმომადგენლების დროულად მივლინება და ხელშეკრულებების გაფორმება. თიანეთის, წალკის და ლიუქსემბურგის რაიონებში დღემდე არ დადებულა ხელშეკრულება კაბინეტებზე და სასკოლო ბიბლიოთეკებზე.

ზოგი განათლების განყოფილების გამგე

უპასუხისმგებლოდ ეკიდება ხელშეკრულების გაფორმების საქმეს. ზუგდიდის, ქუთაისის განს. განყოფილებათა გამგეები სახელგამის წარმომადგენლებს უარს ეუბნებიან ხელშეკრულების გაფორმებაზე და მიუთითებენ, რომ უშუალოდ დაუკავშირდნენ სკოლებს ასეთების გასაფორმებლად, რაც აფერხებს სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებითა და კაბინეტებით მომარაგების საქმეს.

რიგი განათლების განყოფილებათა გამგეები კაბინეტებისა და ბიბლიოთეკებისათვის გათვალისწინებულ თანხებზე მთლიანად არ აფორმებენ ხელშეკრულებას იმ მოტივით, რომ თითქოს არ სჭირდებათ სკოლებისათვის გათვალისწინებული თანხის რაოდენობის კაბინეტების და ბიბლიოთეკების შეძენა. ასე, მაგალითად ორჯონიკიძის რაიონის განს. განყოფილების გამგემ 40.000 მანეთის ნაცვლად გააფორმა 8 ათასი მანეთი, ქ. ქუთაისის განს. განყოფილების გამგემ—120.000 მან. ნაცვლად—36.000 მან., გორის განყოფილებამ 80.000 მან. ნაცვლად — 60.000 მან., ვანის განათლების განყოფილებამ — 59.000 მან. ნაცვლად 11.000 მან., სიღნაღის განათლ. განყოფილებამ—80.000 მან. ნაცვლად 20.000 მან. და ა. შ.

გარდა ამისა განათლების განყოფილების გამგეების დიდი უმრავლესობა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არ ზრუნავენ იმაზე, რომ დროულად გადმოგზავნონ შეკვეთები სკოლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებზე, რაც აფერხებს მათი შერჩევისა და სკოლებზე დროულად დაგზავნის საქმეს.

ახალ სასწავლო წლისათვის კაბინეტებითა და სასკოლო ბიბლიოთეკებით სკოლების უზრუნველსაყოფად ვბრძანებ:

1. დაევალოს ზუგდიდის, ქუთაისის, წალკის, თიანეთის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ოლბულახის, თელავის განათლების განყოფილებათა გამგეებს 30 ივნისამდე გააფორმონ ხელშეკრულებები სახელგამთან კაბინეტებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების შექმნის შესახებ.

2. სახელგამმა მიავლინოს წარმომადგენლები იმ რაიონებში, სადაც ხელშეკრულება არ არის გაფორმებული და 30 ივნისამდე უზრუნველჰყოს ასეთების გაფორმება.

3. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს დაუყოვნებლივ წარმოუდგინონ სახელგამს განაცხადები სკოლებისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსახწყო-იარაღების შესახებ.

4. სახელგამმა წარმოდგენილი ხელშეკრულებების საფუძველზე, განაცხადების მიხედვით, შეარჩიოს საჭირო ხელსაწყო-იარაღები და უზრუნველჰყოს ადგილებზე მათი დროულად დაყვანა. სახელგამმა არ დაუშვას სკოლებზე ისეთი ხელსაწყო-იარაღების გაგზავნა, რაც სკოლების განაცხადში არ იქნება გათვალისწინებული.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ გადამჭრელი ღონისძიებანი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხების სახელგამზე დაწესებულ ვადაში გადარიცხვის უზრუნველსაყოფად, საჭირო შემთხვევაში საკითხი დასვან ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე სათანადო ზომების მისაღებად.

6. სკოლის დირექტორებმა მათი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ მიღებული ხელსაწყო-იარაღებისა და ბიბლიოთეკების დროულად დალაგება და სათანადო მოვლა-პატრონობა. იარაღების გაფუჭებისა განიავებისათვის პასუხს აგებს პირადად სკოლის დირექტორი (გამგე).

7. დაევალოს საშუალო სკოლების სამმართველოს 30 აგვისტომდე შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

8. ეთხოვოს სახ. საგეგმო კომისიას მიაგზავნოს სახელგამი ამანათებისათვის საჭირო მასალით (ლურსმანითა და კანაფით).

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ სასწრაფოდ აცნობოს რაიონებს სასკოლო ბიბლიოთეკებისა და კაბინეტების შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების რაოდენობა.

საფუძველი: საქ სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 16 ივნისის დადგენილება.

განათლების სახ. კომისარი

ბ. კიკნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარული

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სახ. კომისრებს, სამხ. ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფ. გამგეს, რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილების გამგეებს.

საქ. დაწყ. და საშ. სკ. მუშ. პროფკავშირის ყველა საოლქო და რაიონულ კომიტეტს.

16 აგვისტო, 1940 წელი.

„პედაგოგიურ სასწავლებელ დამთავრებულ პირთათვის მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის 1939 წლის 29 ნოემბრის № 1978 დადგენილების და „8 საათიან სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულობის შესაბამისად, საქ. სსრ განსახკომი და საქ. დაწყ. და საშ. სკოლ. მუშ. ც/კომიტეტი წინადადებას გაძლევთ:

1. საქ. სსრ დაწყ. და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ც/კომიტეტის პრეზიდიუმთან შეთანხმებით 1939 წლის 8 მაისის საქ. სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებულ საქ. სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მუშაკთა ტიპიურ შინაგანაწესში შეიტანოთ შემდეგი ცვლილებანი:

ა). § 14 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მასწავლებლებს და სკოლის სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ თვითნებურად, როგორც სკოლიდან წასვლის, ისე სხვა სკოლაში ანუ სამუშაოზე გადასვლის, სამუშაოდან განთავისუფლება შეიძლება დაშვებულ იქნეს სარაიონო (საქალაქო) განათლების განყ. გამგის წარდგენით საქ. სსრ და აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომის და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განყ. გამგის მიერ, რაც სათანადო ბრძანებით უნდა იქნეს გაფორმებული.

ბ) § 15-ის მეორე აბზაცი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ მასწავლებლის მიღება, გადაყვანა და დათხოვნა სწარმოებს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსსრ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის 1936 წლის 10 აპრილის და 1939 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით“.

გ) § მე-20-ის მეორე აბზაცი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„სკოლის ადმინისტრატიულ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესებულია 8 საათი, დასვენების ჩაუთვლელად“.

დ) ამოშლილ იქნას მე-20 §-ის შენიშვნა.

ე) § მე-24 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მეცადინეობა სკოლაში არ სწარმოებს კვირა დღეებში, არდადეგების დროს, 22 იანვარს, 1 და 2 მაისს, 7 და 8 ნოემბერს და 5 დეკემბერს“.

ვ) § მე-25 1 აბზაცი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ადმინისტრაციის მიერ დაკისრება მუშაკებზე რაიმე სამსახურებრივი დავალებისა: სამუშაოდან თავისუფალ დროს, კვირა და რევოლუციურ დღეებში, გარდა ამ წესდე-

ბაში აღნიშნულ სამუშაოსა,—დაუშვებელია“.

ზ) § 60—შესწორდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშაკი, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დაუშვა სამი ასეთი დარღვევა, ან ოთხი დარღვევა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ (§ 59), ან რომელმაც დაუშვა საპატიო მიზეზის უქონლად დაგვიანება 20 წუთზე ზევით, დაუყოვნებლივ პ/გებაში უნდა იქნეს მიცემული, სათანადო უბნის სახალხო სასამართლოზე გადაცემით.

თუ უნებართვოდ სამუშაო დასტოვა, ან საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაო გააცდინა: სასწავლო ნაწილის გამგემ, მასწავლებელმა, ან სკოლის სხვა მუშაკმა, სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დამნაშავის სამართალში მიცემის მიზნით საქმე ყველა მასალით დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს.

დაწყებითი სკოლის გამგის, ა/ს საშუალო სკოლის, ან საშუალო სკოლის დირექტორის იმავე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, განათლების განყოფილება ვალდებულია დამნაშავის პ/გებაში მიცემის მიზნით საქმე დაუყოვნებლივ სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს გადასცეს.

2. საქ. სსრ განსახკომისა და დაწყ. და საშ. სკოლის მუშაკთა კავშირის ც/კომიტეტის 1939 წლის 5 აპრილის ცირკულარულ წერილში—„მასწავლებელთა დათხოვნისა და გადაყვანის წესის შესახებ „შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

ა) § 1-ში—„საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის და სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 10 აპრილის“ სიტყვების შემდეგ დაემატოს:

„და 1939 წლის 29 ნოემბრის“.

ბ). ამოიშალოს ამავე §-ის ბოლო სიტყვები:

„ხოლო გაცდენისათვის დათხოვნა, იმავე კომისრების (ქვემდებარეობისამებრ) შემდეგში და დაუყოვნებლივ დამტკიცების გარეშე“.

გ) § მე-2-დან ამოიშალოს შემდეგი სიტყვები:

„გარდა გაცდენისათვის დათხოვნისა, ხოლო უკეთუ მასწავლებლის გაცდენისათვის დათხოვნას ადგილი ჰქონდა, ამ დათხოვნის დაუყოვნებლივ დასტურების გარეშე“.

დ) ამავე მეორე §-ის მეორე აბზაცში სიტყვების—„განათლების სახალხო კომისრის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი:

„ან სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განათლების განყოფილების გამგის“.

ე) მესამე § შეიცვალოს შემდეგნაირად:

„იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი ან სასწავლო ნაწილის გამგე. უნებართვოდ დასტოვებს სამუშაოს ან საპატიო მიზეზის უქონლად გააცდენს სამუშაოს, სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია, დამნაშავის სამართალში მიცემის მიზნით, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურატურის ორგანოებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ დანაშაულს ჩაიდენს სკოლის დირექტორი (გამგე), განათლების განყოფილება მოვალეა გადასცეს თვითონ უშუალოდ მათი საქმე სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს“.

ვ) §-4 შესწორდეს შემდეგნაირად:

„თუ სამუშაოდან დასათხოვნია მასწავლებელი (ადგილკომის ან სოფკომის წევრი, შრომის საზოგად. ინსპექტორი და სხვა ასეთი), რომელთა დათხოვნა არსებულ კანონმდებლობის მიხედვით მოითხოვს საკითხის სავალდებულო წინასწარ შეთანხმებას პროფორგანიზაციასთან და შრომის ინსპექტორთან, განათლების განყოფილება ვალდებულია შეუთანხმოს დათხოვნა პროფორგანიზაციას, აუცილებელ შემთხვევაში—კი აგრეთვე კავშირის საოლქო და ცენტრალური კომიტეტის შრომის ინსპექტორს და წარუდგინოს დასათხოვნად სათანადო განსახკომს, ან ოლქის განათ. განყოფილებას ქვემდებარეობისამებრ“.

3. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) ადგილობრივ პროფორგანიზაციასთან ერთად ამის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიტანონ ცვლილებანი სკოლების შინა განაწესში და შრომის ინსპექტორების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, გულდასმით განიხი-

ლონ სკოლის კოლექტივში და გამოაკრან ის თვალსაჩინო ადგილზე.

4. იმ სასწავლო დაწესებულებებში, (დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები, პედსასწავლებლები, მოზრდილთა და მოზარდთა სკოლები, პოლიტგანსასწავლებლები), რომლებსაც დღემდე არ გაეჩინათ შინაგანაწესები, 1940/41 სასწავლო წლის დაწყებისათვის, საქ. სსრ განსახკომისა და დაწყ. და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ც/კომიტეტის მიერ 1939 წლის 8 მაისს დამტკიცებულ ტიპიური შინაგანაწესის (ამ წერილში მოხსენებულ ცვლილებებით) საფუძველზე შემოღებულ იქნას შინაგანაწესები, იმ წესებს დაცვით, რომელიც მოცემულია საქ. სსრ განსახკომის 1939 წლის 8 მაისის № 2077 ბრძანებაში.

5. განათლების განყოფილებებმა და კავშირის რაიკომებმა სისტემატური კონტროლი გაუწიონ სასწავლებლებს და დაადვან სასჯელი იმ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს, რომლებსაც არ აღმოაჩნდებათ სათანადოდ შედგენილი და შრომის ინსპექციის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესები.

საქ. სსრ გან. სახალხო კომისარი
ბ. კიკნაძე

საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლის
მუშაკთა პროფკავშირის ც/კ-ის
თავ-რე: ალ. მურუსიძე.

СБОРНИК № 8
РАСПОРЯЖЕНИЙ И ПРИКАЗОВ НАРКОМПРОСА

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია — პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 14/VIII 40 წ. № УЭ—1181
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VIII 1940 წ.
შეკვეთის № 2297 ტირაჟი - 5.000

სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკა-სი“ რუსთაველის პრ. № 36.

ეროვნული
ბიბლიოთეკა